



აღმოსავლეთ ზონის პირველი ლიგა

2 - 6 აპრილი, 2025 წ.

ქ. თბილისი, ჯანდაცვის დედოფლის აკადემია, გიორგი ბრწყინვალის 32

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჯანდაცვის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:

02.04-06.04. 2025 წ. ქ. თბილისი, ჯანდაცვის დედოფლის აკადემია, გიორგი ბრწყინვალის 32.

4. მონაწილენი:

4.1. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის წევრებს:

- 10 წლამდე - 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს.

4.2. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2025 წლის საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის

წლიური საწევრო შესატანი (დანართი 1) საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის საბანკო

ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE30BG0000000584705115). ასევე,

შევსებული ელექტრონული ფორმა - <https://forms.gle/ZGdjH68jACZ7R5v28>

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად.

- გარკვეულ შემთხვევებში, ტურნირის ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს ტურნირის ჩატარების სისტემა და განრიგი.

6. დროის კონტროლი:

თითოეულ მონაწილეს მიეცემა 50 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 10 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა -

<https://forms.gle/mHLi9xqz8t444kZD7> ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) დაბადების მოწმობის

ასლი; 2) საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (GE34BG0000000129766701)

ჩემპიონატის სატურნირო საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 31 მარტი 18:00 საათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

7.2. თითოეული მონაწილის სატურნირო საწევრო შესატანია - 40 ლარი.

7.3. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო

საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (31 მარტის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.4. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში სატურნირო შესატანია 80 ლარი.

7.5. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ

დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG000000129766701.

8. თაი – ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჭგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჭგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

წრიული ტურნირის შემთხვევაში:

1. ზონებორნ-ბერგერი
2. ურთიერთშორის შეხვედრა;
3. მოგებების მეტი რაოდენობით;
4. კოიას სისტემა;
5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, მაშინ უნდა გათამაშდეს 1 პარტია არმაგედონი.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	2 აპრილი	
I ტურის კენჭისყრა		10:00
გახსნა	3 აპრილი	10:45
I ტური		11:00
II ტური	4 აპრილი	10:30
III ტური		13:00
IV ტური	5 აპრილი	10:30
V ტური		13:00
VI ტური	6 აპრილი	10:30
VII ტური		13:00
დახურვა		15:00

10. გამარჯვებულები:

- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.
- თითოეულ ტურნირში 1–5 ადგილზე გასული მოჭადრაკეები მოიპოვებენ შესაბამისი ასაკის უმაღლესი ლიგის საგზურებს.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება;
 - ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
- მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე